ეკოლოგიური მდგომარეობა მდ. ჭოროხზე და მისი გავლენა შავი ზღვის სანაპიროზე.

ირმა მაკალათია
ელ-ფოსტა: irma.makalatia@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

ანოტაცია

საქართველო საზღვაო ქვეყანაა და მნიშვნელოვანია კარგად გავანაალიზოთ დინამიური პროცესები, აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში. კერძოდ აჭარის სანაპიროს აკუმულაციური ზოლი თითქმის მთლიანდ მდ. ჭოროხის ალუვიერი ნატანით არის წარმოქმნილი. ის გარემოება რომ მდ. ჭოროხის ნატანის სრულად გადაკეტვა აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით შედეგებს, აუცილებელია მომავალში ავიცილოთ და შევძლოთ სანაპირო ზოლის ინტეგრირებულ მართვა და ზოგადად მდგრადი განვითარების კონცეფციის შექმნა.

სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით კახაბრის ვაკე წარმოქმნილია მდ. ჭოროხის მყარი ნატანისა და ზღვის ტალღების ურთიერთქმედების შედეგად. ზღვიურ შესართავში გამოტანილი ალუვიური მასალის ნაწილი აკუმულირდებოდა ადგილზე, ნაწილი იკარგებოდა წყალქვეშა კანიონში, ხოლო დანარჩენი ტალღების ტრანსპორტირება ხდებოდა ჩრდილოეთით და აღწევდა მდ. ნატანებამდე.

მდ. ჭოროხი 2010-2012 წლიდან თურქეთში მშენებარე კაშხლებით და წყალსაცავებით რეგულირდება. ამას ემატება (საქართველოს ფარგლებში-26 კმ) მყარი მასალის ამოღება მდინარიდან და შუახევის წყალსაცავი, რომელიც საქართველოს მხარეს მდებარეობს. ამ წყალსაცავების მშენებლობამ მდ. ჭოროხის და მისი შენაკადები (აჭარისწყალი და მაჭახელა) ნატანის ზღვამდე გატანას თითქმის მთლიანად გამორიცხავს რაც საბოლოოდ ბათუმის სანაპიროზე უარყოფითად აისახება. ბათუმის კონცხთან 1999 წლის 14 იანვარს, დეზსა და იახტკლუბს შორის დაახლოოებით 200 მეტრის სიგრძის და 60 მეტრის სიგანის პლაჟი მოწდა ნაპირს და კანიონში ჩაიკარგა. სწორედ ამოტომ , მძიმე შენობების აგება კონცხზე დაუშვებელია. აუცილებელია, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველა ზომებს მიმართოს და ნაპირდაცვის სპეციალისტების დახმარებით მოხერხდეს ამ პრობლემის თავიდან აცილება.